პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ ივლისი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე — შალვა კილაძე

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
TSKALTUBO MUNICIPALITY PUBLIC HELTH CENTER
384054 ქ.წყალტუბო რუსთაველის ქ.N25
384054, GEORGIA TSKHALTUBO RUSTAVELI ST N25
ტელ. (0436) 22–28–08 მობ.(599) 971745

85-34-2-202207081440

N 34/85

08/07/2022

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ თეიმურზ ჭეიშვილს

წარმოგიდგენთ ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2022 წლის I-II კვარტლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

დანართი თან ერთვის

მანანა ტყეშელაშვილი

მმართველი

ანგარიში

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი" შეიქმნა 2007 წლის 25 მაისს 10 საშტატო ერთეულით. 2014 წელს დაემატა 1 საშტატო ერთული დამლაგებელი. 2016 წელს დაემატა 1 საშტატო ერთეული ცივ ჯაჭვზე პასუხისმგებელი. 2020 წელს დაემატა 1 ენტომოლოგის საშტატო ერთეული, ანუ სულ 13 საშტატო ერთეულია.

2022 წელს I-II კვარტალში ეპიდზედამხედველობით გამოვლინდა მართვადი ინფექციები მათ შორის:
ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი ,,C''-35 შემთხვევა
სავარაუდო ინფექციების წარმოშობის დიარიის -125 შემთხვევა
ბრუცელოზი -2 შემთხვევა
ლეპტოსპიროზი -10 შემთხვევა
სავარაუდო საკლვების მიერ მოშხამვა-233 შემთხვევა
ჩუტყვავილა -4 შემთხვევა
ლაიმიას დაავადება ბორელიოზი-7 შემთხვევა
ტუბერკულოზი -7 შემთხვევა.
ლეიშმანიოზი- 1 შემთხვევა.
ჰანტავირუსული ინფექცია -1 შემთხვევა
Q-ცხელება 1- შემთხვევა
წითელას 1-შემთხევა

იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ფარგლებში 2022 წლის I-II კვარტალში წყალტუბოსა და მისი ზონის საექიმო ამბულატორიების ფიზიკური პირების (ოჯახის ექიმები მიერ)ჩატარებულია შემდეგი სახის აცრები :
დიფტერია,ყივანახველა,ტეტანუსის საწინააღმდეგო-248აცრა
წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო-231 აცრა
ტეტანუსი-დიფტერიის საწინააღმდეგო 201 აცრა
როტარიქსის საწინააღმდეგო 165 აცრა
პნევმოკოკური ვაქცინით 287აცრა
პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა 105
ჰექსაქსიმის ვაქცინა- 301 აცრა
ანტირაბიული 160 აცრა.

პერმანენტულად ვმარაგდებით ლ.საყვარელიძის სახელობის დავადებათა კონტქროლის და საზ.ჯანდაცვის ცენტრიდან , ანტიგენისა და PSR ტესტებით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურად არის ჩაბმული covid-19 პანდემიის მართვის საკითხში. პერმანენტულად ხდება ბენეფიციართა კოვიდ

ტესტირება ჩვენს მიერ, სწრაფი ტესტით (ანტიგენის) ასევე PSR ტესტირებით რაი საავადმყოფოს მიერ (ოქროს წესით) .

2022 წლის I-II კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის Covid-19 ტესტირება მოხდა 5946 ბენეფიციარში აქედან ანტიგენი -4577 , PSR -1369 აქედან დადებითი ანტიგენი- 353 ,PSR -456 , სულ დადებითი 809.

2022 წელს I-II კვარტალში სულ ჩატარდა 1460 კორონა ვირუსის საწინააღმდეგო აცრა .ფაიზერის ვაქცინაცია ჩაუტარდა 944 , სინოფარმი415 , სინოვაკი 101 ბენეფიციარს,.

2022 წელს I-II კვარტალში COVID-19-ით ინფიცირებული 5810, გამოჯამრთელებული 5786 , გარდაცვლილი სულ 24.

პარაზიტოლოგიურ სამსახურს ახორციელებს ექიმი პარაზიტოლოგი და ლაბორანტი 2022 წელს I-II კვარტალში პარაზიტოლოგიურ სამსახურში თვით დინებით შემოვიდა პარაზიტებზე (ჭიის კვერცხების მტარებლობაზე) გამოკვეული იქნა -75 მათ შორის ენტეროობიოზი აღმოჩნდა 40 პაციენტს,ასკარიდა-0, უარყოფითი-35.

2022 წლის I-II კვარტალის ექიმ- პროფილაქტიკოსის ანგარიში. შემოწმებული იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სილამაზის სალონების სან ჰიგიენური მდგომარეობა, ასევე შემოწმებული იქნა სკოლების და საბავშო ბაღების სან ჰიგიენური ნორმები. მსოფლიოს საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები შემდეგ თემაზე შიდსან ბრძოლის საერთაშორისო დღე, მსოფლიო თამბაქოს გარეშე, სისხლის დონორთა საერთაშორისო დღე, ჰიპერტენზიის საერთაშორისო დღე, ამ დღეებთან დაკავშირებით ჩატარდა ლექცია საუბრები აღნიშნულ თემებზე და დარიგდა ბუკლეტები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

ბიუჯეტი ცალკეული მუხლების მიხედვით გეგმის შესრულება არის შემდეგი:

ა.(ა)ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2022 წლის I-II კვარტალში საფინანსო მონაცემები შეადგენს.

№	პარაგრაფის დასახელება	გეგმა	ფაქტიური
1	თანამდებობრივი სარგო	70 042	70 042
2	შრომითი ხელშეკრულებით	4662	2650
3	საკანცელარიო	1675	1675
4	ოფისისთვის საჭირო მასალები	2400	2000
5	საოფისე ინვენტარის შეძენა	630	630
6	რეცხვა ქიმწმენდა	205	101

7	ჯეოსელი	480	320
8	ელ.ენერგია	1545	1531,50
9	წყალი	600	559,94
10	სამედიცინო ხარჯი	3000	2092
11	საწვავი	6540	5540
12	ავტომანქანის მოვლა შენახვა	2000	1000
13	დაცვა	600	500
14	სამედიცინო აპარატურა	14545	14545
15	რემოტი	4880	4880
16	პირგასამტეხლო	322,80	322,80
17	ინტერნეტი	930	886
18	ნორმატიული აქტები	60	60
	სულ:	115 117	109 336

ა.(ა)ი.პ. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მმართველი: მ. ტყეშელაშვილი.